

შპს „ჰობ დეველოპმენტი“ (საიდენტიფიკაციო # 402010658)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ჰობ დეველოპმენტი“ (საიდენტიფიკაციო ნომრით 402010658) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2018 წლის 10 ოქტომბერს. (შემდგომში „საზოგადოება“).

1.2. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

- საზოგადოება განახორციელებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ საქმიანობას, რომელიც მოგების მისაღებად არის გამოწვდილი;
- საქმიანობის ძირითადი საგანია საკუთარი ფართის იჯარით გაცემა;
- საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს, და აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. საზოგადოების მიერ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მსს ფასს-ის შესაბამისად.

2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.4. საზოგადოება წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

2.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების,

მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

- 2.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის - 2021 -2022 წლების ფინანსური ინფორმაცია;
- 2.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 2.9. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება;
- 2.10. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით;
- 2.11. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება.
- 2.12. მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - მომსახურების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 2.13. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;

- 2.14. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო გადასახადი და საპენსიო შენატანის 2%, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.15. მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი აღიარდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და აისახება ხარჯში;
- 2.16. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.17. საზოგადოების კაპიტალი შემცირებულ იქნა საზოგადოების მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. შემდგომში პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.
- 2.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;
- 2.19. საზოგადოების მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;

შენიშვნა 1. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტი

დასახელება	31.12.2023წ.
ნაღდი ფული სალაროში	0
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	19178
ფული საბანკო ანგარიშზე(შემნახველი) - ლარი	0
ფული საბანკო ანგარიშზე - აშშ დოლარი	112869
ფული საბანკო ანგარიშზე - ევრო	0
სულ ფული და ფულადი ექვივალენტი	132047

შენიშვნა 2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	31.12.2023წ.
ფ/პ შალვა კიკნაძე	89
შპს მაგთიკომი	3076
სულ სავაჭრო და სხვადასხვა მოთხოვნები	3165

შენიშვნა 3. გადახდილი ავანსები	
დასახელება	31.12.2023წ.
შპს ვესტა	74.91
შპს თერმორუმი	3250.00
მაგთიკომი	28.44
შპს პროსერვისი	64.39
სადაზღვევო ჯიპიაი	17.50
ბიდიო დიჯიტალი	30.00
სულ გადახდილი ავანსები	3,465

შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები

დასახელება	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
მიწის ნაკვეთები	1,896,930	1,896,930
შენობა-ნაგებობები	8,184,651	3,800,178
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	3,764,727
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და მანქანა-დანადგარები	139,275	69,584
არამატერიალური აქტივები	1,560.00	1,560.00
ბიოლოგიური აქტივები	50,731.00	9,880.00
სულ ძირითადი საშუალებები	10,273,147	9,542,859

შენიშვნა 5. სავაჭრო ვალდებულებები


დასახელება	31.12.2023წ.
შპს ალგანი	10,020.00
შპს ემჯიი მედიატორი	342.00
შპს აზავერი	472.00
შპს საბოლოო მომსახურება	29.50
შპს ეიჩ ეიჩ ჯორჯია	105.03
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ კომპანი	3292
შპს თბილისის ელექტრომომწოდებელი კომპანია	24163
შპს თბილისერვის ჯგუფი	1001
შპს თბილისი ენერჯი	71
შპს თერმოინდუსტრია	152
შპს მაქსთერმი	14.8
შპს საგა იმპექსი	5

შენიშვნა 6. მიღებული ავანსები

	31.12.2023წ.
ალექსანდრე კობეშვიძე	737.14
იმ გიგა მეტივიშვილი	789.15
შპს თეგეტა მოტორსი	1357.56
იმ თამარ სივსივაძე	337.90
შპს Caucas transport solutions	1651.87
შპს აი სი კომპანი	7792.87
შპს ანაბელ ლოჯისტიკ	762.09
შპს ალფა დისტრიბუშენი	28832.81
შპს არბო 2009	13,377.75
შპს ბალუნი	1,513.85
შპს გზამშენი	377.11
შპს დიპლომატ ჰოლდინგი	3,879.00
შპს ეიჩ ეიჩ ჯორჯია	1,554.38
შპს ველინგტონი	1,000.93
შპს ზოოპარკი	935.17
შპს მადარტ დელივერი	1,946.15
შპს მასტერ თრეიდი	13,574.70
შპს მაუნთინ ჰაუსი	949.72
შპს ისთერნ რისერჩ სოლუშენი	886.07
შპს მედ თრეიდერი	1,679.05
შპს მულტი კონსტრაქშენ გრუპი	1,993.19
შპს ო ენდ ემ ჯგუფი	2,724.58
შპს პრიმა მედი	16,889.14
შპს სამედიცინო ცენტრი ციტო	30,273.46
შპს როიალ ვითი	839.71
შპს საგა იმპექსი	2,101.63
შპს ჯეო კონსალტინგი	3,047.93
სიან ძიე	678.81
შპს ჩვენი გ.ჯ.	495.19
შპს მორიგან ჰაიდრო	934.00
შპს ჯორჯიან ფორვარდინგ გრუპი	1,543.56
შპს ჯიტრონიკი	16.80
შპს ჯეო კონსულტანტსი	1,358.57
სულ მიღებული ავანსები	146,832

დირექტორი:

ბუღალტერი:



	2023წ.	2022წ.	2021წ.
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	132,047.00	188.00	2,946.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,165.00	589.00	2,560.00
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
გადახდილი ავანსები	3,465	39,687	680,042.00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	25,695.00	38,059.00	121,178.00
სულ მიმდინარე აქტივები	164,372	78,523	806,726.00
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	8,323,926.00	3,869,762.00	4,101,601.37
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	3,764,727.00	1,448,202.00
მიწის ნაკვეთი	1,896,930	1,896,930	1,865,096
არამატერიალური აქტივები	1,560.00	1,560.00	1,560.00
ბიოლოგიური აქტივები	50,731.00	9,880.00	
სულ გრძელვადიანი აქტივები	10,273,147	9,542,859	7,416,460
სულ აქტივები	10,437,519	9,621,382	8,223,186
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
<i>ვალდებულებები</i>			
სავაჭრო ვალდებულებები	39686	35277	23626
სასესხო ვალდებულებები	9992236	9191381	8919183
სხვა ვალდებულებები	4150039	3421688	3193227
მიღებული ავანსები	146832	63016	68634
სულ ვალდებულებები	14328793	12711362	12204670
<i>საკუთარი კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი	0	0	25380
დაუფარავი ზარალი	-3891274	-3089980	-4006864
გაუნაწილებელი მოგება			
სულ საკუთარი კაპიტალი	(3,891,274.00)	(3,089,980.00)	(3,981,484.00)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	10,437,519	9,621,382	8,223,186

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს "ჰობ დეველოპმენტი"
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული

დასახელება	2023	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	1,102,637.00	810,814.00	855,047.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,203,513.00	2,682,475.00	1,446,376.00
სულ შემოსავალი	2,306,150.00	3,493,289.00	2,301,423.00
შრომის ანაზღაურება	231,342.00	205,012.00	157,597.00
დაზღვევა	10,882.00	11,590.00	12,842.00
საოფისე ინვენტარი	229.00	386.00	453.00
მასალების ჩამოწერა			1,212.00
კომუნალური ხარჯები	225,043.00	186,468.00	179,994.00
რემონტის ხარჯი	78,059.00	14,941.00	14,003.00
კომპიუტერის ხარჯი	311.00	326.00	680.00
საკონსულტაციო ხარჯი	5,655.00	6,776.00	5,229.00
ცვეთა და ამორტიზაცია	323,349.00	264,998.00	261,953.00
ქონების გადასახადი	79,714.00	65,919.00	42,500.00
მიწის გადასახადი	3,109.00	3,109.00	2,712.00
სხვა საგადასახდო ხარჯი	3,566.00	88.00	960.00
დაცვის მომსახურების ხარჯი	77,280.00	48,117.00	37,525.00
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	16,991.00	4,881.00	4,769.00
სესხის %	864,137.00	761,330.00	724,117.00
სულ საოპერაციო ხარჯი	1,919,667.00	1,573,941.00	1,446,546.00
არასაოპერაციო ხარჯები			
საქველმოქმედო ხარჯი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,187,777.00	1,002,464.00	915,191.00
სულ არასაოპერაციო ხარჯი	1,187,777.00	1,002,464.00	915,191.00
სულ ხარჯები	3,107,444.00	2,576,405.00	2,361,737.00
საანგარიშო პერიოდის ფინანსური მოგება (ზარალი)	(801,294.00)	916,884.00	(60,314.00)

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შპს "ჰობ დეველოპმენტი"

2023 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	-	(3,089,980.00)	(3,089,980.00)
საანგარიშო პერიოდის საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
საანგარიშო პერიოდის მოგება/ ზარალი	-	-	(801,294.00)	(801,294.00)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	-	(3,891,274.00)	(3,891,274.00)



დირექტორი:

ბუღალტერი:

შპს "ჰობ დეველოპმენტი"
2023 წ. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	2023	2022
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	188.00	2,946.00
მიღებული ფულადი სახსრები (+)	1411364	956109
მიმწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	-1805564	-2532022
მიმწოდებლებისგან დაბრუნებული ფულადი სახსრები (+)	4230	24829
გადახდილი გადასახადები (-)	-235877	-149077
არასაოპერაციო შემოსავლები (+)	11078	913
არასაოპერაციო ხარჯები (-)	-19263	-1639
საქვეანგარიშო თანხის დაბრუნება (+)	36126	100855
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხა	30153	139528
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(567,753.00)	(1,457,558.00)
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
შვილობილი საწარმოს შეძენა სახსრების გამოკლებით (-)		0
ძირითადი საშუალებების შეძენა (-)		
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული სარგებელი (+)		
მიღებული პროცენტები (+)	2473	506
გადახდილი პროცენტები (-)		
მიღებული დივიდენდები (+)		
გაცემული დივიდენდები (-)		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	2,473.00	506
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
შემოსულობა აქციათა ემისიის შედეგად (+)		
შემოსულობა სესხებიდან (+)	1533358	1687320
გადახდა სესხებიდან (-)	-718821	-145610
გადახდა სესხის % (-)	-117210	-84470
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განადგობა (-)		
ინვესტიცია სხვა საზოგადოებაში (-)		0
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	697327	1457240
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	132,047.00	188.00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	131,859.00	- 2,758.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

